ხელშეკრულება №2017/064

„საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა'' (CPV კოდი: 30100000) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 16 მარტი 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის ზაალ აბაშიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „პლანეტა" (ს/კ 203833138) მისი დირექტორის აბრამ ჩანჩალაშვილის სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ თანხაზე:

75,00 (სამოცდათხუთმეტი ლარი და და 00 თეთრი) ლარი
(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)
(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება")

მხარეები ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. `ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. `დღე", `კვირა", `თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. `შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. `მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის ქაღალდი თეთრი 190 გრამიანი, ფორმატი A4 - 2 ცალი - 37,50 ლარი - (CPVკოდი: 30197630) – 75,00 ლარი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **75,00 (სამოცდათხუთმეტი ლარი და და 00 თეთრი) ლარს.**

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე **10 სამუშაო დღის ვადაში.**

4.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.4. დაფინანსების წყარო: **2017 წლის საკუთარი შემოსავალი.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 8.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საწყობის გამგე ბაგრატ შურღაია.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

6.1.შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა **2017 წლის 20 მარტის ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მოაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლინლის ხარისხზე;

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

7.3. შემსყიდველი ვალდებულია:

7.3.1. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

7.3.2.განხორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები;

7.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარსხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

8.1.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2. ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი ლაშა კალაძე და განათლებისა და გამოფენების განყოფილების უფროსი ნესტან ბაგაური.

8.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების ღრებულების 5%-ის ოდენობით.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთვევაში, მას დეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე გამოიყენოს ამ პუნქტის 9.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

9.5. დაკისრებული პირგასამტეხლო/ჯარიმა გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეყილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

13.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წლის 15 მაისის ჩათვლით.**

15.ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანმხდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნება დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩვება შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს.

16.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	შპს „პლანეტა"
მის: ქ. თბილისი, ალექსიძის 1/3	მის: ქ. თბილისი, მანჯგალაძის ქ. N14
ს/კ 211368474	ს/კ 203833138
ტელ.: 247-42-42	ტელ.: 293 48 22
სახელმწიფო ხაზინა	სს „ბაზის ბანკი"
	ბანკის კოდი: CBASGE22
	ა/ნ GE69BS0000 0000 0103 6239
დირექტორი	**დირექტორი**
/ზაალ აბაშიძე/	/აბრამ ჩანჩალაშვილი/